

578  
1966/2

საბავშვო  
გაზეთი

# საბავშვო

1966 აგვისტო №8





„ბანაის საუკეთესო მგზაბარე“.  
 ტყეში დათომ ვინ არ ნახა: „დათუნია ბურტყუნა“, „ღვევი“, „ცბიერი მგლია“, „ნაკარქეიაც“ კი.  
 ტყის პატარების ხარხარი ამზინებდა. სამკერდ ნიშანი სამს ვრგო, ყველაზე ყოხალ მგზაბარეებს: დათოს, ნუგზარსა და თამრიკოს.  
 საუბის შემდეგ ოქტომბრულითა ვარსკვლავის ხელმძღვანელმა დარეჯანმა პატარებს კოსმონავტთა სურათები მოუტანა. დარეჯანი მიიწვია და ოქტომბრულბა იციან, რომ მას ბევრი წონი აქვს წაითხული. პატარებმა ყურადღებით მოუსმინეს. დარეჯანი საინტერესოდ მოაყვა კოსმოსის დაპყრობის ამბებს.  
 — ვის გსურთ გახდეთ კოსმონავტი? — იკითხა ბოლოს დარეჯანმა.  
 ყველამ ხელი ასწია. თურმე ნუ იტყვი, ოქტომბრულითა რაზმში ყველას სურდა კოსმონავტობა. ერთმანეთს არ აცდიდნენ თქმს, რაც კი გაეაჩინოს, ტიტოვის, ვალენტინა ტერეშკოვას და სხვების შესახებ იცოდნენ.  
 ბანაეში პარად უნდა ჩატარებულიყო. პარადზე გასასვლელად ყველა რაზმი თუ ოქტომბრულითა ვარსკვლავი საიდუმლოდ ემზადებოდა.

# ოქტომბრულითა ქვიშხეთში

## ნანა ნაიროსი

საყვირის ხმაზე, პიონერებთან ერთად, ოქტომბრულბებიც წამოიშალნენ. დათო დილის ვარჯიშს შეუდგა.  
 — ერთი, ორი! ვარჯიში... ზემოკლავი... დოინჯი... — ითვლიდა ოთართი და დათოც გულმოდგინედ შლიდა მკლავს. ვარჯიშმა და სუფთა ჰაერმა ბიჭუნას ლოყები აუწითლა...  
 დათომ საუბრის შემდეგ, ბანაის შესასვლელთან ჩამწყობებულ ცისფერ ავტობუსებს მიაშურა. მასთან ერთად ოთარი, ნუგზარი, თამრიკო და ოქტომბრულითა მთელი რაზმი ბაქურიანისკენ გაუდგებხს.

ბაქურიანი დათომ ამჯერად უთოვლოდ ნახა. კობხა გორაზე ავიდნენ. მგლიების ფერმასთან რომ შეჩერდნენ, იკატრობა პატარების სიცილია აიკლო. ოქტომბრულბები საღამოს დაბრუნდნენ უკან, მაგრამ დაღლა არ უგრძობნიათ.  
 ... რაზეულის საბჭომ ოქტომბრულითა სასწავლო უწყებრიად მოამზადა.  
 საღამო ხანს კი დარეჯანმა პატარებს ოქტომბრულითა ვიქტორინაზე ასეთ შეკითხვა მისცა:  
 — თქვენი საყვარელი ზღაპრის რომელ გმირთან ისრუებდით ტყეში შეხვედრას?

## ნანა ნაიროსი

— დათუნია ბურტყუნასთან! — იცინოდნენ პატარები.  
 — მგლითან! — გამოჩნდნენ გაბეღულინი.  
 — მგლია გაიძვირასთან! — ამბობდნენ ბავშვები, მაგრამ ხუმრობა ჯგონათ.  
 მწიგრი დილით კი დათომ თავის სასთუმალთან უცნაური ბარათი იპოვა: „ოქტომბრულითა მთელი რაზმს ტყეში გიწვევთ. შეხვედრით თქვენი საყვარელი ზღაპრის გმირებს. ოქტომბრულითა ვარსკვლავი, რომელიც ტყეში საყვარელი ზღაპრის ყველაზე მეტ გმირს გამოიკნოს, დაჯილდოვდება სამკერდ ნიშნით:“

2001  
 70901





# სიგლავა მავროზა

ლალა სულაბაჩიძე

ბარაქალა, ვინც გათხარა  
ამოდენა გვირაბები,  
ვერც ზღაპრებში ინატრებდნენ  
ამას ჩვენი წინაპრები.

მიმოქიან ელმავლები  
და ლამაზი ვაგონები.  
ალარ ჩანან არც სახლები,  
ალარც მწვანე მთავორები.

გვიხარია, შიგ რომ ჩავალთ  
ჩვენებურად ალარ ვცეტობთ.  
გვიხარია, დედა-თბილისს  
რომ ამწიგნებს ახლა მეტროც.

# იძინებენ გვირილები

მორის უფსნივილი

ძილი ნების!  
ძილი ნების!  
ძილი გულის საყვარელს!—  
იძინებენ გვირილები,  
ეძინებათ პატარებს.

ცა ვარსკვლავებს  
აცემციმებს—  
მშვიდი ღამე იქნება...  
ის, ვინც ადრე დაიძინებს,  
ადრე გაეღვიძება.





დაქციის გარშემო შემოიკრიბა ჩვენი სამ-  
შობლოს წარჩინებული და სასიქადლოო  
ადამიანები: მწერლები, მხატვრები, მეცნიე-  
რები, პედაგოგები.

ლაგერნტი ჭიჭინაძის ცნობილი მოთხრო-  
ბები და ზღაპრები: «ცანცარა», «თეთრა»,  
«ბატარა გმირი», «თეკლა ბიჭი», წიგნები:  
«ისლიანი სახლები», «ჭარმაგი», «ნადირშა-  
პის ხმალი», დიდხანია შეიყვარა ქართველ-  
მა მკითხველმა.

ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე მწერალს

# თქვენი მეგობარი

ქართველი ბავშვების საყვარელ მწერალს  
ლაგერნტი ჭიჭინაძეს დაბადებიდან 60 წელი  
შეუსრულდა.

იგი ოთხი ათეული წელია დიდი სიყვა-  
რულითა და მონღომებით, გულწრფელად  
ემსახურება ჩვენი ნორჩი თაობის აღზრდას.  
მუდამ დაუღალავ, ენერგიულ მწერალს  
ხშირად ნახავთ საბავშვო ბაღებსა თუ სკო-  
ლებში, პიონერთა ბანაკებსა და სახლებში.  
იგი ქართველ ბავშვებს მუდამ საინტერესო  
საკითხებზე ესაუბრება, უნერგავს მათ სამ-  
შობლოსა და აღმზრდელების, წიგნისა და  
შრომის სიყვარულს.

ლაგერნტი ჭიჭინაძე შეიღი წლის მან-  
ძილზე ჟურნალ «ოქტომბრელის» რედაქ-  
ტორი იყო. მან ბატარების ჟურნალის რე-

მრავალი მოთხრობა აქვს გამოქვეყნებული.  
იგი არასოდეს არ იფიწყებს «დილას» მკი-  
თხველებს.

ამჟამად მწერალი ახლახან გახსნილი სა-  
ბავშვო წიგნის სახლის დირექტორია. ამ  
სახლში დიდი შემოქმედებითი მუშაობა  
გაჩაღდება. აქ შეხვდებიან ნორჩი მკითხველე-  
ბი თავიანთ საყვარელ მწერლებს და მხატ-  
ვრებს, აქ განიხილავენ «ნაკადლის» მიერ  
გამოცემულ წიგნებს. ყველა ამ კარგსა და  
ახალ საქმეს ჯერ კიდევ ენერგიით აღსავსე  
მწერალი უხელმძღვანელებს.

ჟურნალ «დილას» რედაქცია გულწრფე-  
ლად მიესალმება ბავშვების საყვარელ მწე-  
რალს, უსურვებს მას ჯანმრთელობას და  
შემოქმედებით წარმატებებს.

## მაც პიონარი ვარ







# უკოთა გუსთაველი

## ქალთა სახეები ვეფხისტყაოსანში

ვეფხისტყაოსნის შესავალში რუსთველი გვეუბნება, რომ თავისი პოემა მან თამარ მეფეს მიუძღვნა.

თუმცა ვეფხისტყაოსანში თამარი არ მონაწილეობს, როგორც მოქმედი პირი, მაგრამ პოემაში მოთხრობილი ამბავი მაინც თამარის განდიდებას ემსახურება. როდესაც თინათინისა და ნესტანის შესახებ გვესაუბრება, მათ მშვენიერებას, სიბრძნეს და მეფურ ძლიერებას აქვებს, რუსთველი თამარს გულისხმობს.

თამარი საქართველოში მეფობდა 1184 წლიდან 1213 წლამდე. 1184 წელს მამამ, გიორგი მესამემ თავის სიცოცხლეშივე აიყვანა იგი სამეფო ტახტზე. თამარი თავის თანამედროვეებს აკვირებდა არა მარტო მშვენიერებით, არამედ სიბრძნით, სათნოებით, სიმტკიცითა და იშვიათი ნიჭით. თამარმა სახელი გაითქვა დასავლეთსა და აღმოსავლეთში. იგი ქართველი ხალხის სათაყვანებელი მეფე, რუსთველის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქართველთა ღმერთი გახდა“.

აი, ამ დიდებულმა ქალმა შთააგონა რუსთველს მისი პოემა, თინათინისა და ნესტანის სახით რუსთველმა თამარის ქება განიზრახა. ისევე როგორც თამარი, თინათინიცა და ნესტანაც ტახტის მემკვიდრეები არიან, ხოლო შემდეგ მეფენი. ისევე, როგორც თამარი, ორივე ეს ქალი სწორპოვარი მშვენიერებით ბრწყინავს. ორივეს ახასიათებს სიბრძნე, სათნოება, სამართლიანობა, სიმტკიცე და გამბედაობა. მათ არ შეიძლება ადამიანი არ ეთაყვანოს, ისევე როგორც არ შეიძლება, ადამიანს ეთაყვანი არ ეცა თამარისთვის. თინათინი და ნესტანი, თამარის მსგავსად

უნაკლო და ყველა ღირსებით დაჯილდოებული ანუ იდეალური მეფე-ქალის განსახიერებანი არიან.

თინათინის მთელი ცხოვრება ნათელია, უშფოთველი, ღვინით სავსე. მის გარშემო მუდამ ზეიმი და გამარჯვებაა. ძალაუფლებას ვერა-



ვინ შეუღლდავს. მის სილამაზეს ვერავინ მეტოქეობას ვერ გაუწევს. მის სურვილს ვერავინ ვერ გადაუხვევს. ამიტომ რუსთველი თინათინს ყველაზე უფრო ხშირად მზეს ადარებს. მზეც ხომ თინათინივით ბრწყინვალეა, ბედნიერების მომტანი. მისი სხივები უხვად ეფინება ყველას, ისევე როგორც თინათინის მეფური წყალობა, და ყველას ბედნიერებით ავსებს.

ნესტანის ცხოვრება სულ სხვაგვარია, ვიდრე თინათინის. მართალია, პირველად, როცა მას ვეცნობით, ბედნიერია და უდარდელი, მაგრამ მალე ცხოვრება მღელვარებით, ცრემლითა და განსაცდელით შეეცვლება.

ნესტანს ქაჯები იტაცებენ. წლების განმავლობაში იგი გმირული სიმტკიცით ტანს გაჰირვებს, ბედს არ ურიგდება და ტარიელის ერთგულდება გულში სათუთად ინახავს. მისი სიმტკიცე და უშიშრობა მნახველებს აკვირვებს.

თუ თინათინს რუსთველი უფრო ხშირად მზეს ადარებს, ნესტანის დასახასიათებლად იგი ვეფხვის სახეს იუყნებს. ნესტანი ვეფხვს ჰგავს თავისი მშვენიერებითაც, თავისი სულიერი სიძლიერითაც და უშიშრობითაც.

ნესტანს რომ ის ბედი შეჰხვედროდა, რაც თინათინს, იგი უსათუოდ, თინათინივით მშვიდი და უშფოთველი იქნებოდა. თინათინს რომ ნესტანი-სებური განსაცდელი ენახა, იგიც უსათუოდ ნესტანივით მოიქცეოდა. მათი ბუნება და ხასიათი



ნესტანი

ნახატი უჩა ჯაუარიძისა

ერთია, ორივენი უნაკლო, სრულყოფილი ადამიანები არიან.

გარდა ნესტანისა და თინათინისა, პოემაში კიდევ ორი ქალია: ფატმანი და ასმათი. ისინი არც ისეთი მშვენიერნი არიან, როგორც ნესტანი და თინათინი, არც ისეთი ბრძენნი, მაგრამ მათ აქვთ სათნო გული, კეთილი საქმისათვის თავის განწირვაც შეუძლიათ და ერთგულდებაც. მათი სახით რუსთველმა კეთილშობილი და თავდადებული ადამიანები დახატა.

ნოლარ ნათაძე



# ზეკლიდოვის სკოლა

უძველეს წარსულში, როცა ადამიანებმა ჯერ კიდევ ლაპარაკი არ იცოდნენ, ზოგჯერ ტყეში შეხვედრისას, მისალმების ნაცვლად რაღაცას ჩაუბურტყუნებდნენ ხოლმე ერთმანეთს. [ზოგმა ადამიანმა ახლოც ასეთი სალაშობი იცის, მაგრამ ამაში საამაყო არაფერია). მაშინ მონადირეები თავაზიანად სწევდნენ მალა შუბებსა თუ ქვის წალღებს და ერთ-ორ სიტყვას ამბობდნენ, ანუ ესალმებოდნენ ერთმანეთს. მონები სალაშობი აძლევდნენ თავიანთ ბატონებს, ბატონები — ქალბატონებს, ქვეშევრდომნი — რაინდებს, რაინდები — სხვა რაინდებს, მეფეებს... ხან იმიტომ ესალმებოდნენ ერთმანეთს, რომ ეს საჭირო იყო, ხან იმიტომ, რომ სასიამოვნო იყო, მაგრამ უფრო ხშირად კი — ურთიერთ თავაზიანობისა და პატივისცემის ნიშნად. ადამიანები დღემდე უსალმოდ არ ჩაუვლიან ერთმანეთს. თუ ნაცნობი ადამიანი არ მოგესალმა, ეს ძალიან ცუდია, ხოლო ვინც სალაშობს უბასუხოდ დატოვებს, ეს უფრო უარსია. ამის გული-

სათვის ადრე ბრძოლაშიც კი იწვევდნენ ერთმანეთს.

ძველ რომში მონები ბატონის შეხვედრისას ქულს იხდიდნენ, რომ მონობის ნიშანი — გადაპარსული თავი ეჩვენებინათ. მუშა-კეტვრებს მისალმების დროს თავები რომ დაეხარათ, თავიანთი ფართო ფარფლებიან ქულის წყალობით ცხვირებიც კი არ გამოუჩნდებოდათ. ამიტომ მისალმებას მოხდენილი მოძრაობით გამოხატავდნენ და ქულს მიწამდე აფრიალებდნენ ხოლმე. და აი, დღემდე ადამიანები ქულის მოხდით ესალმებიან ერთმანეთს.




ყველა ქვეყანას თავისი ზნე-ჩვეულება, თავისი ადათი აქვს. ალბათ სხვადასხვა ქვეყნის ადამიანთა სალაშობიც განსხვავდება ერთმანეთისაგან. რუსები ეხვევიან ერთმანეთს და ორივე ლოყაზე კოცნიან. ჩინელები თავის დაკვრით გამოხატავენ სალაშობს. ზოგ ქვეყანაში შუბლებით ეხებიან ერთმანეთს.

მისალმებამ ყოველგვარი ცვლილებები გა-

ბისა და პატივისცემის ნიშნად. ადამიანები დღემდე უსალმოდ არ ჩაუვლიან ერთმანეთს. თუ ნაცნობი ადამიანი არ მოგესალმა, ეს ძალიან ცუდია, ხოლო ვინც სალაშობს უბასუხოდ დატოვებს, ეს უფრო უარსია. ამის გული-





ნიცალა. ოდესღაც საღმის დროს მალალოფარ-  
დოვან სიტყვებს ამბობდნენ და ახსენებდნენ  
ღმერთს. წარმოიდგინეთ, რომ ყოველი პრო-  
ცესიის ჩავლისას, მეფისა თუ ეპისკოპოსის  
გამოჩენისას, ხალხი მიწას ერთხმოვად და  
მტვერსა და ტალახში ივანგლებოდა. გუნე-  
ბაში კი მათ გზა-კვალს წყველიდა. ახლა კი?  
განა რომელიმე თქვენგანი პროცესიის წინ  
მუხლს მოიდრეკთ? ამის კითხვაც კი სასაცი-  
ლოა, ხომ მართალია? გულითადი პატივის-  
ცემის გამოსახატავად მუხლზე დაცემა საჭი-  
რო არ არის.


თუკი დღეს ადამიანები ქულს იხდიან, ხე-  
ლებს ჩაუშვებენ, ხოლო ჯარისკაცები და  
პიონერები ხელს ქულთან მიიტანენ, —ა თქმა  
უნდა, არა მეფე იმპერატორის პატივსაცე-  
მად. არამედ ასე ესაღმებთან დროშას, ან  
ჰიმნს. დაგვერწმუნეთ, რომ გულითადი პატი-  
ვისცემის გამოსახატავად ზედმეტი მოძრაობა

და ყალბი სიტყვები არავის სჭირდება.  
ყოველი მისაღმების დროს ასეა საჭირო.  
ადამიანები ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ  
და თავიანთ ვნაზე ვტყვიან: „გამარჯობათ!“  
„როგორ გიკითხობ?“ მაგრამ იმისთვის, რომ  
ხეპრე ილიკომ თავის დაჭერა ისწავლოს,  
თქვენც მოგიწევთ ამის წაკითხვა. თუ ვინ  
ვის უნდა მიესალმოს და როგორ. ამიტომ  
ერთ რჩევას გაძღვეთ: თუ ვინმემ ყოველივე  
ეს ზეპირად იცის, შეუძლია არ წაიკითხოს

და გადაშალოს  
შემდგომი გვერდი.  
მაგრამ ვაი, თქვენი  
ბრალი, თუ ყური  
მოგკარით, რომ  
ამხანაგს ასე მიმა-  
რთეთ: „გაუ, ჰან-  
ქალღევილო!“

ზრდილი კაცი,  
სადაც არ უნდა მი-  
ვიდეს, სკოლაში  
იქნება ეს, შინ,  
თუ სტუმრად, სა-

ლაში არ დაავიწყდება. კბილის ექიმის კაბი-  
ნეტში შესვლის დროსაც სალაშს იტყვის. და  
რაც მთავარია, ყოველთვის პირველი ამბობს  
სალამს და თანაც, რაც შეიძლება, დროულად.



ნახატი ბუმბომა ელ. კახიანიძისა



უფროსები უცდიან ხოლმე, თუ როდის მიე-  
სალმებიან უმცროსები. ბევრი კარგი მისალ-  
მება გვაქვს, დაწყებული „დილა მშვიდობი-  
დან“—გათავებული „ღამე ნებისათი“. მთელი  
ღღის განმავლობაში სხვადასხვაგვარი სალამი  
შიდიღება გამოვიყენოთ.

თუ მცირე ხნით მალაზიაში შეხვალთ, ქუ-  
ლის მოხდა საკირო არ არის. მაგრამ ყველა  
სხვა შემთხვევაში ქული უნდა მოიხადოთ (რა  
თქმა უნდა, ეს მხოლოდ ბიჭებს ეხება). წასე-  
ლისას დამშვიდობებაა საკირო და ყოველ-  
გვარ დამშვიდობებას სჯობია თქვათ: „ნახ-  
ვამდის!“

ზრდილობიანი აღამიანი ყოველ ნაცნობს  
ესალმება. ქალაქში, რასაკვირველია, ყველა  
შემხვედრს ვერ ეტყვი გამარჯობას, მაგრამ  
სოფელში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს,  
თუნდაც მხოლოდ სახით, მისალმება ყველა-

სათვის აუცილებელია. თუ შორიდან ნაც-  
ნობს შეამჩნევთ, მეორე ქუჩაზე ნუ გასძახებთ  
სალომს, ანდა ფანჯრიდან ნუ დაუყვირებთ.  
შეგიძლიათ ხელი ასწიოთ, ქული დაუქნოთ,  
ან უხმოდ მიესალმოთ; გააჩნია ვინ დაინა-  
ხეთ. როდესაც ვინმეს გვერდით მიჰყვებით  
და ის თავის ნაცნობს ესალმება, თქვენც უნდა  
მიესალმოთ, თუნდაც  
იგი თქვენი ნაცნობი  
სულაც არ იყოს. სალ-  
მის თავიდან აცდენა, ან  
მისი უბასუხოდ დატო-  
ვება — დიდი უზრდე-  
ლობაა.

ზრდილობიანი აღა-  
მიანი მუდამ ხელს ართ-  
მევს მეორეს. მაგრამ  
არ უნდა დაივიწყოთ,



ყველაფხისათვის დიდი მადლობა.  
წინათ შევხს დანახაქმს და ახაფიქია ახ  
წინათ მეფაეების წინაშე მუხოს მის  
იყილენ  
გამახტაბათ ! ← დაახ  
ნახვამდის ! ← აგხეთვე  
ჩემნს და } ქული უნდა მუხარა,  
დხშას } სემნაზე დაღვე  
მუდამ ზიხველი უნდა მიესალოძო და  
მლიხარა ქული  
თუ კი მახუჯან.  
ჩიხველოდ ხელს უწვდიან უფხსეჭი.  
ღამედახი ახ აძლოვენ სალოამს,  
უნდა წამდღვე ფეხზე.  
(ილიკოს რვეულიდან)

# კარალო, ბიჭო ირაო

ჭანდლო, ჭანრი ჭანდლო,  
 ჭანდლო, ბიჭო ირაო,  
 ძთელი დღე ებურთავა და  
 ძთელი დღე ჭიმა ეირაო,  
 მერე მტრედები აფრინა  
 სულ კამანად და ირაოდ,  
 ასე გაფრინდა შაბთი,  
 ასე გაფრინდა კვირაო,  
 ორშაბათს „ირო“ მიიღო  
 და ირამ გაიკვირვაო.



# სამი ბელურა

საკენი მოკვცა ევამ,  
 წუალი დაგვიდა ხუტამ.  
 წუალს ვსვამთ და საკენს ვკენკავთ—  
 მე, ბუზალა და ბუტა.

სულ თქვენს სარკმელთან ვსხედვართ  
 და თქვენი კალთა ვაფარავს...  
 თქვენ გაეხარდეთ დედას,  
 თქვენ გაეხარდეთ მამას.



რომ პირველნი თქვენ უნდა მიესალმოთ,  
 მაგრამ ხელი არ უნდა გაუწოლოთ. ეს უფ-  
 როსების საქმეა. როცა ხელს ჩამოართმევთ,  
 ძალ-ღონის გამოცდა აქ საჭირო არ არის. არა-  
 ვითარ შემთხვევაში არ მიესალმოთ ვინმეს  
 დამჯდარი, — უთუოდ უნდა წამოღვეთ. ხელის  
 ჩამოართმევისას აქეთ-იქით არ უნდა დაიწ-  
 ყოთ ყურება, პირდაპირ თვალებში უნდა შე-  
 ხედოთ იმას, ვისაც ხელს ართმევთ. ავღებუ-  
 ლი საღამო, გაუფგებარი ბურტყუნი ან ზედ-  
 მეტი სითამამე საღამის დროს კარგ აღზრდა-  
 ზე არაუფრს ამბობს. მაგრამ როგორ მოვიქ-  
 ცეთ ყინვიან დღეს, თუკი ხელთათმანი გვაც-

ვია? არ შეიძლება ხელთათმინი ხელი გა-  
 ეუწოლოთ მას, ვისაც იგი არ აცვია. მაგრამ  
 თუ უფროსსაც ხელთათმანი აცვია, მაშინ  
 შეგვიძლია არც ჩვენ გავიძროთ. სკოლაში  
 სულ სხვაგვარად ვესალმებით ერთმანეთს:  
 როცა კლასში მასწავლებელი შემოდის, ჩვენ  
 უხმაუროდ ვდგებით. თუ ოთახში ბევრი ხალ-  
 ხია, უხმოდ უნდა დავუკრათ თავი ყველას.  
 ასე მოვიქცევით მაშინაც, როცა ხმამაღალი  
 მისალმება ვინმეს ხელს შეუშლის. მაგალი-  
 თად: სამკითხველო დარბაზში. პიონერი პიო-  
 ნერული საღამს აძლევს მაშინ, თუ ყვლზე  
 პიონერული ყელსავგვი უკეთია.





# მღიბვიანა და ჰუნდუნა



## პირველი მღიბვიანი

ნახატები ზურაბ შორაჩიძისა

ეს ამბავი აფრიკის გაუვად ჯუნგლებში მოხდა. ყველაფერი ღომებმა წამოიწყეს, დაფითა და ნალარით ცხოველები შეყარეს და ოლიმპიური თამაშების ჩატარება გადაწყვიტეს.

მთელ მსოფლიოში შიკრიკები აფრინეს; ფრინველებსა და ცხოველებს ოლიმპიადის დაწყების დღე შეატყობინეს.

ყველაზე ადრე ჩრდილოეთის თეთრი დათვები და პინგვინები გამოჩნდნენ.

— აბა, რა გქნათ, გეთაყვა, აფრიკის ცხელ ჰავას ხომ უნდა შევეგუოთო!— გაიძახოდნენ კობა პინგვინები.

ოლიმპიადის გახსნის დღეს საბერძნეთიდან მტრედეები ჩამოაფრინდნენ. ნისკარტებით მშვიდობის სიმბოლო— ზეთის ხიდის რტო მოაქონდნენ.

გაჩაღდა შეჯიბრება. პირველად თავი სპილენძმა ისახელეს. სიმძიმეების აწვევაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. ფოსტალიონმა კენგურუებმა ჩანთები ცხელ-ცხელი გაზეთებით სწრაფად გაივსეს და ჯუნგლების ოთხივე მხარეს მოედგნენ. ახალი ამბები, ახალი ამბები!... მთელი ხმით გაჰყვიროდნენ ისინი.

დღე და ღამე მუშაობდნენ კოდალები. მორზეს ანბანს შეუსვენებდად უკაკუნებდნენ და მთელ ქვეყანას ახალი ჩემპიონების გვარებს აცნობდნენ. სახელდახელა ანტენები პირდაპირ ყირაფის თაბზე ჰქონდათ წამოგდებული. არც საფოსტო მტრედეებს ჰქონდათ მოსვენება. რედაქციებში წერილების მიტანას ვეღარ აუღიოდნენ.





ყველაზე დიდებული მაინც ოლიმპიადის დახურვის დღე იყო. სატელევიზიო გადაცემა ჩჩიკვს მიჰყავდა. საბუნიმოდ დააჯიღოვგეს ოლიმპიადის ჩემპიონები. მართალნი სირბილში სირაქლემამ ახალი რეკორდი დაამყარა. სპორტულ სიარულში აქლემს ბადილი არა ჰყავდა. სიმაღლეზე ტლომაში გორილამ თავისი ძველი რეკორდი გააუქმობდა.

თავისუფალ ცურვაში ზვიგინები პირველ ადგილს ვის დაუთმობდნენ. ევლინის სტილით ცურვაში კი გამარჯვებულები კინალამ ზღვის დომები გამოვიდნენ. უკანასკნელ წამებში ევლინები სირცხვილს გადაჩნენ. ას მეტრზე სირბილში ქურციკებმა თავი ისახედეს. კალათურთში მაიმუნებმა ისეთი გუნდი ჩამოიყვანეს, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა. კალათში ბურთს რომ ჩააგდებდნენ, თვითონ კალათზე ჩამოეკიდებოდნენ ზღმე და სიცილით იტაქებოდნენ.

ქიდაობაში ღომები და ვეფხვები შეებნენ ერთმანეთს. ისეთი კორიანტელი დააყენეს, ედამიწამ ზანზარი დაიწყო. ბოლოს მაინც ღომებმა სძლიეს.

ყველაზე სანატრელსა ჰოკეი იყო. ხელოვნურ ყინულზე ჩრდილოეთის თეთრი დათვები გამოვი-

დნენ. კაცის თვლი უკეთესს სერის ვერ ნახავდა. გაკვირვებისაგან ღომებმაც კი პირი დააღეს. თეთრხალათიანი პინგინები სტადიონის ტრიბუნებზე დადიოდნენ და მაყურებლებს ჩრდილოეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილი ნაყინით უმასპინძლებდნენ. იფ, იფ, რა კარგიაო!—იძახდნენ მსუნაგი ბეჭემოტები და თავებს აკანტურებდნენ.

აბა, თქვენ უნდა გენახათ, ტრიბუნებზე რა ხდებოდა, როცა მოედანზე საციგურაოდ შეაფრაკიანი და თეთრპერანგიაანი პინგინები გამოვიდნენ. ყინულზე ცეკვა ღომებსაც ძალიან მოეწონათ, მაგრამ ბოლოს მაინც თქვეს:

— ჰოკეი სჯობია, უფრო ვაქცაურო თამაშია.

— როგორ გეკადრებთ,— გაწიწმადნენ ნიამორები და ჯეირნები, — ჰოკეი, აბა, რა სპორტია, საცოდავმა დათვებმა ერთმანეთს თავები დაუხეთქეს.

საბოლოოდ დიდი საფეხბურთო მატჩი შედგა. ღომები მსოფლიოს ნაკრებს შეხვდნენ. ნაკრების კარს მაიმუნი იცავდა. მცველებად კავკასიური ჯიჩხვები გამოიყვანეს, ისინი თავებით ძალიან კარგად თამაშობდნენ და კარსაც თავგანწირულად





# ათი ანუხი



იცავდნენ. ნახევარდაცვაზე არაბულ რაშებს ვინ აჯობებდა. მე შენ გეტყვი, სირბილი არ შეუძლოთ, ან იოღად დაიღლებოდნენ. თავდასხმაში ქარზე უსწრაფესი ქურციკები დააყენეს. ცენტრი კი ვეფხვებს ჩააბარეს. თამაშს მედიების მსაჯ-თა ბრიგადა სჯიდა.

თავიდანვე ღომებმა შეუტრეს, მაგრამ მაიმუნს ბურთს ვინ გაუტანდა. იგი კარის ძეღზე იჯდა, მზესუმზირას აკნატუნებდა და მობურთალებს დასცინოდა. ისეთ მკვდარ ბურთებს იღებდა, ღომები სიმწრისაგან ბრდღვინავდნენ.

პირველი ტაიმის ბოლოს ნაკრების კარში მედამ პენალტი დანიშნა. ღმმა ზერხი ინმარა, კარის ერთ კუთხეში ბანანის გადაადგლა, მაიმუნი იქით გადახტა, ღმმა კი ბურთი მეორე კუთხეში დაარტყა. მედამ ყველაფერი დაინახა, მაგრამ თვლი აარიდა, ვაი თუ, მერე გამისხენოლს.

მაშინ კი გამოცოცხდნენ ნაკრების ფეხბურთელები. უნდა გენახა, რა თამაში გაჩაღდა. ბოლოს ქურციკი გარღვევაზე გაიჭრა და ბურთი კართან დარტყმით ანგარიში გაქვითა. თამაშის ბოლოს კაპიტანებმა ერთი ყაყანი ატუნეს, ღმმა ბურთი ეშმაკობით გაიტანა, მედამ უკანონო ბურთი ჩათვალა. მედიები იფიცებოდნენ, სინდისს გეფიცებით, არ დაგვინახავსო და მოწმეებად თავიანთი კუდები მოჰყავდათ.

ბოლოს ცაში ისევ მტრეები აფრინდნენ. ამა-სობაში დაღამდა კიდეც. სტადიონზე უთვალავი ციციანთედა შემოფრინდა და იქაურობა დღესათვის განათდა.

— ნახვამდის, მომავალ შეხვედრამდე! — იძახდნენ სპორტსმენები.

ღიღი ზეიმი შუალამემდე გაგრძელდა.

# გაზერიცაი უცაი

პატივან ჭილაშვილი

ნახატი პლ. აგოქაძისა

შინჯიკანთ ბაღჩაში მსხალი შეთვალუ-  
ლიყო.

— ბიჭოს, ამ კულაბით ზირის ჩატკბა-  
რუნება კი დირს!—ნერწყვი გადაუღანა  
ავთომ და დობეს თვალი ჩაუფლა. ბოლო-  
ში კარგა მოხრდილი სვრელი შეაშინა,  
ჩაირბინა და თვალთ მოხმა.

— ისე გაუმერები, შენი მოწონებული!—  
ჩაიღანაჩაუკა ავთომ და ბაღჩაში ამოყო  
თავი.

სეზე ასვლბ ვერ ცაბდა, თვალი არაზინ  
მოამკრანსო. ქვედა ტოტი ჩამოსწია და რაც  
სელთ მოხვდა, მკვასე თუ შწიფე, იუარ და  
იუარ უბეში.

ასლბ კი დროა მოვუსვაო.—გაიფიქრ  
ავთომ და ბაღჩაშეში გაწვა, თავი სვრელში  
კაყო, მაგრამ ტანი? ტანს მერაც ვერ უყო.

აქეთ ეცადა, იქით ეცადა, ნურც გიფიქ-  
რიათ, გაიჭედა, გაიჭედა!

— რომლისა ხარ, ვაჟაკლო?—სიცილით  
თავს წამოაღდა ბაღისპატრონი, მია თედო.

ავთო ჭირის თვლში გაიწურა, გაბერი-  
ლი უბე მარწყუსივით შემოერკალბ.

— რასა წვალბ, ბიჭო! აჭა, ეს სე და  
ეს შენ! ადი სვდ და რამდენიც გინდა, იმდე-  
ნი ჭამე!—იღიმებოდა მია თედო.





# მოსახლეული კუ

აფრიკული ზღაპარი

იყო ერთი კუ, სახელად ერქვა კამბა. კამბას ჰყავდა ცოლი აკა.

ერთ საღამოს კამბა დაღონებული დაბრუნდა შინ და აკას უთხრა:

— დიდი მეტიჩარა ვინმეა ეს ჩვენი მეზობელი სპილო ნომბუ; გზად რომ შემომხვდებოდა, ზედაც კი არ შემომხედავს, ალბათ ფიქრობს: კუ რა ჩემი ტოლია, მე ხომ ასი მის ოდენა მართლხორთუმი მაქვსო.

— სპილო — სპილოა, შენ ისა თქვი, რომ ეს ბებემოტი მემუც არაა ნაკლები მეტიჩარა, — თქვა აკამ და თავი გადააქანია.

აკა ძალზე ჭკვიანი და მოხერხებული იყო.

— უმ, შენი ჭირიმე, რა მოვიფიქრე! — ჩაიქირქილა აკამ და კამბას ყურში რაღაც უჩურჩულა.

— დიდებულია შესანიშნავია ყოჩად, ჩემო აკა! ახლავე წავალ და ვუჩვენებ სიერს იმ შენს ბებემოტსა და სპილოსს — შესძახა გახარებულმა კამბამ, თავი ამაყად ასწია და ბებემოტისკენ წაბოლდა.

ბებემოტ მემუს შუა მდინარეში კასრისოდენა თავი ამოეყო და ყურებს სასაცილოდ აფართხუნებდა. კამბამ ხმაოდლა დაუყვირა. ბებემოტი არ გამოეპასხა. ბოლოს, ისე დაუღრიალა, რომ ცას შეესკდა ხმა. მოთინებინდნ გამოსულმა მემუმ კამბას დაუბღვირა: რა გული გამიწყალე, მეორედ აღარ გაბედო ნაპირთან მოსვლაო!

— რას იბღვირები, რომ იბღვირები, მართო შენი ხომ არ გგონია აქაურობა! — ამაყად გასძახა კამბამ.

— როგორ ბედავ ჩემთან ასე ლაპარაკს, — გაბრაზდა ბებემოტი, ტანი ვააქან-გამოაქანდა და წყლი ააღულა, — ჩქარა დამეკარგე აქედან, შე ქინქლა, ვინა!

— ვითომ რა, ჩემზე დიდი რომ ხარ, ამით მანინებ? არსადაც არ წავალ, ჩემზე ღონიერი ხომ არ გგონია შენი თავი?!

— ერთი ამ წრიბას დამიხედე! შე ჩირჩიტო, მე ათასჯერ შენზე ღონიერი ვარ!

— რას ამბობ, გული არ გამიხეიქე! — მკერდლი წააგლო წინ კამბამ, — ტრახახი შენი მოგონილია თოკს მოვიტან, მის ერთ ბოლოს შენ მოეჭიდე, მეორეს მე, გავსწიოთ და ვინ გადაძლევის, იმასაც ვნახავთ.

ბებემოტმა გადაიხარხარა და წყალი კვლავ ააღულა. ბოლოს დათქვეს: — ხვალ დილით გამოვცადოთ ერთმანეთი ღონეშიო.



დაღლილმა კამბამ ცოტა სული მოითქვა, მეორე სპილოსკენ წაბოლდა.

სპილოს ბაობაბის ჩრდილში ეძინა და ფერად-ფერად სისმარებში იყო. კუმ ხორთუმზე შეუღვინა და გააღვიძა. გაბრაზდა სპილო და შეუბღვირა კუს: რატომ დამიფრთხე ტუბილი ძილიო.

— მე ვიცე, შენ ჩემზე ღონიერი გგონია თავი, — უთხრა კამბამ, — ამიტომ ერთმანეთს ღონე უნდა მოვუსინჯოთ: მოვიტან თოკს, მის ერთ ბოლოს შენ მოეჭიდე, მეორეს—მე, გავსწიოთ და ვნახოთ, ვინ ვის გადაძლევის.

— რაო, ერთმანეთს ღონე უნდა მოვუსინჯოთ? ერთი უყურე ამ ცინგლიანს! — გაიფიქრა სპილომ, მივიდა ერთ მოწრილ ხესთან, მოსდო ხორთუმში და ძირიანად მოთხარა.

— მერე რა, მაინც მე გადაძაძლავ, — ისტიბარს არ იტებდა კუ.

სპილომ იმდენი იცინა, იმდენი ითუხუხა, იმდენი ითუბუნა, რომ დაოსდა და ისეც ბაობაბის ჩრდილში წამოგორდა არხინად.

ბევრი იღვეს, ბოლოს. დათქვეს: — ხვალ დილით გამოვცადოთ ერთმანეთი ღონეშიო.

იმ დამეს კუმ ეძებდა, ეძებდა და იპოვა კიდევ ერთი დიდი თოკი. გათენდა თუ არა, იმ თოკის



10023

ერთი ბოლო ბეჭემოტს მისცა, მეორე კი — სპილოს. სპილოსა და ბეჭემოტს შორის ერთი ბუჩქებიანი გორაკი იყო. კუ იმ ბუჩქებში თოყთან ჩაქდა და, — დავიწყოთო! — დაიძახა. საქმე ის იყო, რომ ვერც ბეჭემოტი და ვერც სპილო ერთმანეთს ვერ ხედავდნენ, ორივე ფიქრობდა: თოკის მეორე ბოლოს კუ ექაჩებაო.

ბეჭემოტი და სპილო, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, თოკს თავისკენ ეწეოდნენ, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს ერთმანეთს.

მიუშვებს სპილო თოკს, მიჰყვება თვითონაც, მოიკრებს ძალას და დაქანდება უკან... შენც არ მომიკვდე, მაინც არაფერი გამოდის.

— უყურე შენ, — ამბობს გაკვირებული სპილო, — სადა აქვს ნეტაც ამდენი ძალა ამ დალეულს?

აქეთ ხომ სპილოა ამ დღეში, იქით ბეჭემოტი გიუღება, — რაღაცა მეგონა ჩემი თავი და, ერთი დონდლო ვინმე ვყოფილვარ, კუს ვერ მოვერიეო!..

„ახლა კი ეყოფათ“, — გაიფიქრა კუმ, ბუჩქებიდან თავი ამოყო და პირბასრი ქვა თოკს დანასავით დაუსხვა. გაწყდა თოკი და... აქეთ სპილომ მოადინა ჯაგებში ბრაგვანი, იქით ბეჭემოტი გადაგორდა მდინარეში. სპილოს ზურგი დაეყუთა

და საწყალი სიმწრით ათუხთუხდა, ბეჭემოტი მუცლით დაეცა წყლის ზედაპირზე და სულ ვაი-ვაი იძახა.

იბობლა, იბობლა კუმ და მდინარესთან მიბობლდა:

— როგორა ხარ, ძმობილო, ხომ არაფერი გეტყინა! — ჩაუქირჩილა ბეჭემოტს კამბამ.

ბეჭემოტს ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა და არაფერი არ უპასუხებდა... ახლა სპილოსთან მიბობლდა კუ.

— ჩემს ღირსეულ მეტოქეს ვახლავარ! გვერდები ხომ არ დაგებეგვა, მეგობარო! ყოჩაღ, ყოჩაღ, ძალიან ღონიერი ყოფილხარ!

არაქათამოლეული სპილო გაცეხული შეპყურებდა კუს, — ამას როგორ ვერ მოვერიეო, — ფიქრობდა.

სალამოს, როცა კუ სახლში დაბრუნდა, ყველაფერი თავის ცოლს აკას უამბო. აკამ იმდენი იცინა, რომ თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

ამის შემდეგ ბეჭემოტი და სპილო აღარ უკადრისობდნენ კუსთან შეხვედრას, — თავაზიანად ეხალმებოდნენ.

თარგმნა გივი ძნელაძემ






# ფანჯარი

## მელოდი

მუსიკა 4 წლის ნანა ბაბუხვილიძის. (თბილისი)


მაჩშის ტუპპით



## აი, ჩემი სოფელი

ნანა კარასალიძე

პი, პი, პი, პი, გზა მომეცით,  
 სოფელი ვარ, სოფელი,  
 მოვაქროლდე მანქანა,  
 აი, ჩემი სოფელი.  
 აი, წყარო ანკარა,  
 აი, სახლი პატარა,  
 ჩამოვედი, ბებოცო,  
 ჩემი ნატვრაც ეს იყო.



## თაგუნიას ქაღა

გიმინა ნიქაუარი

ავდ ვახდა ფისო,  
 დაეკარგა მადა,  
 თაგუნია ციცქნამ  
 გამოუცხო ქაღა.

იპრანუება თაგვი,  
 ქურქს კისერზე იხვევს  
 და შიადგა ქაღით  
 კატის მაღალ ციხეს.

მაგრამ, იციო, კატას  
 ვერ მოხიბლავთ ქაღით,  
 და იმ ქაღის ნაცვლად  
 ვადასანლა თაგვი.



## ვაშლი და ბაბუ

კაცბედ მაღალი—ლორბედ დაბალი.

დავაბამ დაღის, ავუშვებ—ღვას.

ბალხური

ნახატები მიორი რეინივილიძისა

# ანდობა

სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდება.

ბელაური ცხენი მათრახს არ დაიკრავს.

ხალხური


**გაუთინა კავახი**  
 დაიშო ხაოთხე  
 დათო შეანაწილად  
 სმელუბოთ, ხუჭოვებუბოთ,  
 მკელი ჟურსად შორ ნას,  
 შუხისა მუტუბო.



## აკთბული მეგობარი

აფრიკის მაჩვი თავლით იკვებება. როცა მშვირია, უხტვენს ხოლმე. სტვენს მაჩვის მეგობარი ჩიტი ეხასუნება. იგი ჭიკჭიკით მაჩვს მიუძღვება და გზას უჩვენებს გარეული ფუტკრების სადგომისაკენ.

როდესაც მაჩვი თავლს მიირთმევს, არც თავის ერთგულ მეგობარს ივიწყებს. მას გვერდიელი ფიჭით უმასპინძლებს.



შთავარი რედაქტორი **ჯანსუღ ჩარკვიანი**.

ხარდაცული კოლეგია: **ბ. გიმიბოკრი, ბ. გოგიაშვილი, ჯ. ლოლუა, ვაჟ. მამფლიშვილი, ჯ. ნინუა, შ. ცხაღამე (ხამბატოვი რედაქტორი), ნ. ვუღიშიანი (შთ. რედაქტორის მოადგილე), რ. ზვიზვილი**

ხაქორთველის ალექ. ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს უფრნალი

ღის მხატვრობა **ზურაბ მიმბარიაშვილისა** ტიპოგრაფია **ბ. რიბნიშვილი**  
 გამოცემის ოცდამეცხრამეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდება.  
 გამომცემლობა "ანატოლი", გამოც. შტაბი № 337, ზღამის 9 კვ. № 1003, ტრაბიკ. 1000, ხელმოწერილია დისკრეტად 1/VI 1968 წ.  
 ფონილი დაკედილია სპ. კ. ცე გამოცემლობის პოლიგრაფიკომინატში ლენინის ქ. № 14 „ქ.ქ.ქ.ა“ № 5 ხა გურჯისტომ ლიკა. ტექნიკ. პროც. ქაქიათა 24 91  
 რედაქციის მისამართი: თბილისი. მელხისძვის ბრძის. № 91, ტელ. 5-37-38, 5-18-09. ფანი 20 კბა.



6148/193




7 წლის ნანა იოხელიანის სამი ნახატი (თბილისი).



- 1. 5 წლის მაია ხუციშვილის ნახატი (თბილისი).
- 2. 9 წლის მამუკა არდაშელიას ნახატი (გალი)
- 3. 12 წლის თამარ ცაგარელის ნახატი (თბილისი)



1



3